ოქმი N 14

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2022 წლის 5 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მალხაზი იოსავა
5. აკაკი მალანია
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. ნინო ბოკუჩავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 28 ნოემბრის N50-502233288 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 5 დეკემბრის N50-502233912 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განაცხადა რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 158.0 ათასი ლარით მუხლიდან „გადასახადები“ და განისაზღვრა - 21479,0 ათასი ლარი. გადასახდელები გაიზარდა 158,0 ათასი ლარით და განისაზღვრა -25381,4ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

158,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:

158,0 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „გადასახადები“ (მათ შორის: 158.0 ათასი ლარი - დამატებითი ღირებულების გადასახადი), საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 12 დეკემბრის N04-03/109730 წერილი.

შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 158,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

158,0 ათასი ლარი - ,,საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კულტურული, სპორტული, საგანმათლებო და საგამოფენო ღონისძ. ხარჯი“ ასიგნებაზე (საახალწლო და მიმდინარე წლის დასრულებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საახალწლო ღონისძიების: კონცერტების; საშობაო ბაზრობების, გამოფენა-გაყიდვების, საბავშვო გასართობი სივრცეების, ფოტოგადასაღები ზონებისა და საახალწლო ინსტალაციების მოწყობის, თოვლის ბაბუასთან ბავშვების შეხვედრის ცერემონიის და ფოიერვერკის ჩატარების ღონისძიების ასიგნება);

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია